

ხატვის საწყისები

ნიკოლოზ ბალუ ყუფარაძე

დიზაინის და ანიმაციის სკოლა © 2026

კურსის ხანგრძლივობა: 12 კვირა

კურსის აღწერა:
ამ კურსზე შეისწავლით ყველაზე საჭირო საწყისებს რაც ხატვისთვის არის საჭირო. გაივლით როგორც თეორიულ ნაწილს, ისე შეეხებით ამ ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას. გარდა ხატვის საწყისებისა, კურსის ბოლოს დაეთმობა დრო პირად პროექტებსაც, მათ მოფიქრებას და დაწყებას. გაიგებთ იმ მცირე ხრიკებს რაც რეალურად საკმარისა რომ თითოეულმა ვისაც ხატვა უნდა მოახერხოს და გადმოიტანოს ფურცელზე ის რაც მათ გონებაშია. ქონდეს სითამამე და დაინახოს გაკვალული გზა საწყისი ნაბიჯებისთვის. და რაც მთავარია - ხელი მოკიდოს და ჩაეჭდოს ჯადოქრობას, რომელიც ხატვაა.

კურსის მიზნები და სწავლის შედეგები:
კურსის მიზანია სტუდენტებმა შეისწავლონ ფორმისა და სივრცის აგების საბაზისო პრინციპები: ხაზი, ფორმა, პერსპექტივა, შუქ-ჩრდილი, ტონალობა, ფერი და ტექსტურა. კურსი დაგეხმარება სივრცობრივი აზროვნების, დაკვირვების უნარისა და ვიზუალური კომუნიკაციის განვითარებაში, ასევე საკუთარი იდეების ვიზუალურად გადმოცემაში როგორც აკადემიური, ისე შემოქმედებითი მიმართულებით.

კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი შეძლებს:

- ხაზისა და ფორმის ეფექტურად გამოყენებას ვიზუალური კონსტრუქციისთვის;
- გეომეტრიული და სტილიზებული ფორმების სივრცეში აგებას;
- შუქ-ჩრდილისა და ტონალობის გამოყენებით ფორმის მოცულობის გადმოცემას;
- ფერისა და ფერთა პალიტრების გააზრებულად გამოყენებას;
- სხვადასხვა ტექსტურისა და მასალის ვიზუალურად დამუშავებას;
- რეფერენსებისა და Master Study-ის მეთოდის გამოყენებას საკუთარი უნარების გასავითარებლად;

კურსის განმავლობაში გამოყენებული პროგრამები: Adobe Photoshop, ან სხვა ნებისმიერი პროგრამა სადაც ხატვა შესაძლებელია

ტექნიკური მოთხოვნები: ნებისმიერი სახატავი პლანშეტი

ფორმატი: ონლაინ შეხვედრები

კვირა 1, შეხვედრა 1
თემა: ხაზი

- ზოგადი მიმოხილვა კურსის შესახებ
- ხაზის მნიშვნელობა, როგორც ყველაფრის საწყისი
- ხაზის სისქის გამოყენება სივრცის საჩვენებლად

დავალება: საბაზისო სავარჯიშოები ხაზის გამოყენებით, ხაზის გასმისას გამბედაობის მოსამატებლად და ხელის "გასახურებლად"

კვირა 1, შეხვედრა 2
თემა: ხაზი, შესრულებულ დავალებაზე უკუკავშირის მიღება

კვირა 2, შეხვედრა 3
თემა: პერსპექტივი

- პერსპექტივი, როგორ ინსტრუმენტი
- 1, 2 წერტილიანი პერსპექტივები, მათი სირთულეები და უპირატესობები
- გეომეტრიული ფორმების პერსპექტივში მორგება

დავალება: კუბის და ცილინდრის 1, 2 წერტილიან პერსპექტივებში ჩასმა

კვირა 2, შეხვედრა 4
თემა: პერსპექტივი, შესრულებულ დავალებაზე უკუკავშირის მიღება

კვირა 3, შეხვედრა 5
თემა: წერილიანი პერსპექტივი და ფორმის მანიპულაცია

- მარტივი გეომეტრიული ფორმების მანიპულაცია
- არასტანდარტული ფორმების გაკონტროლება

დავალება: კუბის და ცილინდრის 3 წერტილიანი პერსპექტივებში ჩასმა და გეომეტრიული ფორმების მანიპულაცია

კვირა 3, შეხვედრა 6
თემა: წერილიანი პერსპექტივი და ფორმის მანიპულაცია, შესრულებულ დავალებაზე უკუკავშირის მიღება

კვირა 4, შეხვედრა 7
თემა: ფორმების სივრცულად აღქმა

- “რეზინის ტექნიკა”
- გეომეტრიული ფორმებით კომპოზიციის შექმენა

დავალება: აქამდე გავლილი მასალით კომპოზიციების შექმნა

კვირა 4, შეხვედრა 8
თემა: ფორმების სივრცულად აღქმა, შესრულებულ დავალებაზე უკუკავშირის მიღება

კვირა 5, შეხვედრა 9
თემა: ჩრდილები

- ჩრდილის აგება როგორც წერტილისთვის ისე გეომეტრიული ფორმისთვის.
- შუქ-ჩრდილის გათვალისწინებით ფორმის დამუშავება

დავალება: კუბის აგება და დაჩრდილვა

კვირა 5, შეხვედრა 10
თემა: ჩრდილები, შესრულებულ დავალებაზე უკუკავშირის მიღება

კვირა 6, შეხვედრა 11
თემა: ტონალობა

- ტონალობის მნიშვნელობა და ფუნქცია
- სხვადასხვა ტონალობის შეზავება

დავალება: ტონალობების ვარიაციების შექმნა ფორმაზე

კვირა 6, შეხვედრა 12
თემა: ტონალობა, შესრულებულ დავალებაზე უკუკავშირის მიღება

კვირა 7, შეხვედრა 13
თემა: ფერი

- ფერის მნშვნელობა და ფუნქიცა
- ფერის სიტუაციური გამოყენება.

დავალება: ფერით ფორმის დამუშავება

კვირა 7, შეხვედრა 14
თემა: ფერი, შესრულებულ დავალებაზე უკუკავშირის მიღება

კვირა 8, შეხვედრა 15
თემა: ფერების პალეტები

- როგორ გავიგოთ რა ფერები მოგვწონს მეტად - Color Chart
- როგორ გამოვიყენოთ რეფერენსები ნამუშევრებში ფერების ასარჩევად

დავალება: პირადი Color Chart-ის შექმნა

კვირა 8, შეხვედრა 16
თემა: ფერების პალეტები, შესრულებულ დავალებაზე უკუკავშირის მიღება

კვირა 9, შეხვედრა 17
თემა: Master Studies

- რა არის Master Studies?
- რას მივაქციოთ ყრუადღება და როგორ გამოვიყენოთ მაქსიმალური შედეგისთვის

დავალება: Master Studies

კვირა 9, შეხვედრა 18
თემა: Master Studies, შესრულებულ დავალებაზე უკუკავშირის მიღება

კვირა 10, შეხვედრა 19
თემა: ტექსტურები

- ხე, მეტალი და სხვა ტექსტურების შექმნა
- მატერიალების სტილიზება

დავალება: გავლილი მასალით გეომეტრიული ფორმების აგება და ტექსტურის დადება

კვირა 10, შეხვედრა 20
თემა: ტექსტურები, შესრულებულ დავალებაზე უკუკავშირის მიღება

კვირა 11, შეხვედრა 21
თემა: პირადი პროექტის დაწყება

- როგორ და საიდან დაიწყო საკუთარი პროექტი.
- წერა და არა ხატვა - გეგმის შემუშავება.

დავალება: პირადი პროექტის მოფიქრება

კვირა 11, შეხვედრა 22
თემა: პირადი პროექტის დაწყება, შესრულებულ დავალებაზე უკუკავშირის მიღება

კვირა 12, შეხვედრა 23
თემა: შეჯამება

- ინდივიდუალური პროექტების გავლა და დალანჩვა

კვირა 12, შეხვედრა 24
თემა: შეჯამება



animatory

HOLY MOTORS

GARNAMATAC